საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-466

15/06/2018

ქ. თბილისი

ცაგერის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-ის ქვესადგური „ლაჯანური 500/220/110“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 3.4 ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გაიცეს ცაგერის მუნიციპალიტეტში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა “-ის ქვესადგური „ლაჯანური 500/220/110“ მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #10; 04.06.2018წ.

2. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #10; 04.06.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“

4. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ცაგერის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი